ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს

2019 წლის 16 მაისის სხდომის

ოქმი № 3

სხდომას ესწრებოდა: სიითი შემადგენლობის 34 წევრიდან – 21.

დღის წესრიგი:

1. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შეცვლის შესახებ ახალ სამაგისტრო პროგრამაში - "მედიაფსიქოლოგია და კომუნიკაციები"
   მომხს: რ. ჯორბენაძე
2. ცვლილებები "საერთაშორისო და ადგილობრივ ღონისძიებებში სტუდენტთა მონაწილეობის ფინანსური უზრუნველყოფის" წესში
   მომხს: თ. დოლბაია
3. დოქტორანტ მაია მანჩხაშვილის დისერტაციის დაცვის კომისიისა და დაცვის თარიღის დამტკიცება
   მომხს: თ. მატარაძე
4. დოქტორანტ ანა წითლიძის სადისერტაციო თემის სახელწოდების დაზუსტების შესახებ
   მომხს: თ. მატარაძე
5. სადოქტორო სემინარისა და სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შეფასების წესის დამტკიცება
   მომხს: თ. დოლბაია
6. სალექციო კურსების საგამოცდო შეფასებების პროცენტული მაჩვენებლების გამოთვლის შესახებ
   მომხს: რ. ჯორბენაძე
7. გამოცდების ჩატარების შესახებ

მომხს: თ. დოლბაია

8. ვიზუალური დოკუმენტალისტიკის კვლევის ლაბორატორიის შექმნის შესახებ

მომხს: თ. დოლბაია

9. საუნივერსიტეტო სტრუქტურული ერთეულის "გენდერის ინსტიტუტის" ფაკულტეტზე გადმოტანის შესახებ

მომხს: თ. დოლბაია

მოისმინეს: 1. ახალ სამაგისტრო პროგრამაში "მედიაფსიქოლოგია და კომუნიკაციები" (ხელ-ლი: მარიამ გერსამია, პროფესორი) მისანიჭებელი კვალიფიკაციის შეცვლის აუცილებლობის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა რ. ჯორბენაძემ

აზრი გამოთქვეს: თ. დოლბაიამ, გ. გოგსაძემ, ზ. დავითაშვილმა, ვ. ლორთქიფანიძემ, ნ. ჭალაგანიძემ და სხვ.

დაადგინეს: სამაგისტრო პროგრამის - "მედიაფსიქოლოგია და კომუნიკაციები" (ხელ-ლი: მარიამ გერსამია, პროფესორი) მისანიჭებელ კვალიფიკაციად დამტკიცდეს "მეცნიერების მაგისტრი სოციალურ მეცნიერებაში (MSc in Social Science)

მოისმინეს: 2. "საერთაშორისო და ადგილობრივ ღონისძიებებში სტუდენტთა მონაწილეობის ფინანსური უზრუნველყოფის" წესში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის დეკანმა თ. დოლბაიამ

აზრი გამოთქვეს: მ. შამილიშვილმა, ვ. მელიქიძემ, ზ. დავითაშვილმა, თ. მახარაძემ, ე. ბებერაშვილმა, ა. გაბაშვილმა, მ. ბერიანიძემ და სხვ.

დაადგინეს: შევიდეს ცვლილებები "საერთაშორისო და ადგილობრივ ღონისძიებებში სტუდენტთა მონაწილეობის ფინანსური უზრუნველყოფის" წესში და დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით (ოქმს თან ერთვის)

მოისმინეს: 3. დოქტორანტ მაია მანჩხაშვილის დისერტაციის დაცვის კომისიის შემადგენლობა და დაცვის თარიღი დასამტკიცებლად გამოიტანა დეკანის მოადგილემ თ. მატარაძემ.

აზრი გამოთქვეს: გ. გოგსაძემ, ს. დუნდუამ, ვ. მელიქიძემ და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს დოქტორანტ მ. მანჩხაშვილის დისერტაციის დაცვის კომისიის შემადგენლობა წარმოდგენილი სახით და დაცვის თარიღად განისაზღვროს: 14 ივნისი, 2019; 16.00 სთ

1. ალექსანდრე კუხიანიძე - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს პროფესორი alex_kukhianidze@yahoo.com; 599518417.
2. კორნელი კაკაჩია - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს პროფესორი kornely.kakachia@tsu.ge; 599954954.
1. ფიქრია ასანიშვილი - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს ასოცირებული პროფესორი pichria.asanishvili@tsu.ge; 599643223.
2. სალომე დუნდუა - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს ასოცირებული პროფესორი salome.dundua@tsu.ge; 5551565491
3. ავთანდილ ტუკვაძე - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს ასოცირებული პროფესორი avtandil.tukvadze@tsu.ge; 577232789.
4. ჰენრი კუპრაშვილი - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი henrikupra@yahoo.com; 599143137.
5. ნიკა ჩიტაძე - გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, nikachita@yahoo.com; 577465300

მოისმინეს: 4. "პოლიტიკის მეცნიერების" სადოქტორო პროგრამის მე-9 სემესტრის დოქტორანტ ა. წითლიძის სადისერტაციო თემის დაზუსტების საკითხი განსახილველად გამოიტანა თ. მატარაძემ

აზრი გამოთქვეს: ვ. მელიქიძემ, ს. დუნდუამ, ზვ. აბაშიძემ და სხვ.

დაადგინეს: დოქტორანტ ა. წითლიძის სადისერტაციო თემის სახელწოდება - "ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა, საერთაშორისო გამოცდილება და საქართველოს პერსპექტივები" დაზუსტდეს შემდეგნაირად - „ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკური დეცენტრალიზაციის პრობლემა საქართველო'ში 2012-2019 წლებში და ბალტიისპირეთის გამოცდილება."

მოისმინეს: 5. სადოქტორო სემინარისა და სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შეფასების ახალი წესები დასამტკიცებლად გამოიტანა ფაკულტეტის დეკანმა თ. დოლბაიამ

აზრი გამოთქვეს: ნ. ჭალაგანიძემ, მ. შამილიშვილმა, გ. გოგსაძემ, ზ. დავითაშვილმა, ს. დუნდუამ, ა. კუხიანიძემ, ე. ბებერაშვილმა და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს სადოქტორო სემინარისა და სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შეფასების ახალი წესები წარმოდგენილი სახით (ოქმს თან ერთვის)

მოისმინეს: 6. სალექციო კურსების საგამოცდო შეფასებების პროცენტული მაჩვენებლების გამოთვლის წინასწარი შედეგები დამსწრეთ გააცნო რ. ჯორბენაძემ

აზრი გამოთქვეს: თ. დოლბაიამ, გ. გოგსაძემ, ზ. დავითაშვილმა, ს. დუნდუამ, ე. ბებერაშვილმა, თ. მახარაძემ და სხვ.

დაადგინეს: წარმოდგენილი ანგარიში მიღებულია ცნობად. საბოლოო მონაცემები შემდგომი შესწავლა-განხილვისთვის გადაეცემა მიმართულებების ხელმძღვანელებს

მოისმინეს: 7. ფაკულტეტის დეკანმა დამსწრეთ გააცნო თსუ-ში გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია, დამტკიცებული რექტორის 2012 წლის 12 №84/01-01 და 2013 წლის 26 დეკემბრის №182/01-01 ბრძანებებით

აზრი გამოთქვეს: ზ. დავითაშვილმა, თ. მახარაძემ, ზ. აბაშიძემ, ს. დუნდუამ, ნ. გოლიაძემ, თ. კობახიძემ, ე. ბებერაშვილმა და სხვ.

საკითხის განხილვისას გამოიკვეთა განსხვავებული თვალსაზრისები. საბჭოს რამდენიმე წევრმა მხარი არ დაუჭირა წარმოდგენილ დოკუმენტს და გამოცდების საგამოცდო ცენტრში ჩატარების აუცილებლობა, სპეციფიკური გამონაკლისის გარდა, აკადემიური და ზოგადად, არჩევნის თავისუფლების შეზღუდვად მიიჩნია. აღნიშნული პოზიცია კენჭისყრის შედეგზეც აისახა. გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია ხმათა უმეტესობით დამტკიცდა, წინააღმდეგი აღმოჩნდა მხოლოდ საბჭოს სამი წევრი: ზ. დავითაშვილი, ნ. გოლიაძე და თ. კობახიძე.

დაადგინეს:

1. ფაკულტეტის კურიკულუმით განსაზღვრული გამოცდები ჩატარდეს რექტორის 2012 წლის 12 ივლისის №84/01-01 და 2013 წლის 26 დეკემბრის №182/01-01 ბრძანებებით განსაზღვრული ინსტრუქციის შესაბამისად.
2. ფაკულტეტზე, ლექტორის მიერ ჩატარდეს მხოლოდ გარკვეული სპეციფიკის მქონე საგნების გამოცდები, რომლებიც ითხოვს უშუალო ინტერაქციას სტუდენტსა და პროფესორს შორის და ამ საგნების ჩამონათვალი გააკეთოს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა

მოისმინეს: 8. ვიზუალური დოკუმენტალისტიკის კვლევის ლაბორატორიის შექმნის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის დეკანმა თ. დოლბაიამ. მან აღნიშნა, რომ მსგავსი ლაბორატორია აქამდეც არსებობდა და რამდენიმე წლის წინ შეუერთდა თსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს. ახლა არის შესაძლებლობა ამ საშტატო ერთეულების ფაკულტეტზე გადმოტანისა. ლაბორატორიას აქვს უამრავი დოკუმენტური საარქივო მასალა, რომელიც გამოადგება ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის მიმართულების პროფესორებსა და სტუდენტებს.

აზრი გამოთქვეს: მ. შამილიშვილმა, ნ. ტალახაძემ, ნ. ჭალაგანიძემ და სხვ.

დაადგინეს: ფაკულტეტზე შეიქმნას ვიზუალური დოკუმენტალისტიკის კვლევის ლაბორატორია და ეთხოვოს ცენტრალურ ადმინისტრაციას, ლაბორატორიისთვის განსაზღვრული შტატები გადმოტანილ იქნას ფაკულტეტზე.

მოისმინეს: 9. საუნივერსიტეტო სტრუქტურული ერთეულის "გენდერის ინსტიტუტის" ფაკულტეტზე გადმოტანის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის დეკანმა თ. დოლბაიამ.

აზრი გამოთქვეს: რ. ჯორბენაძემ, ს. დუნდუამ, თ. მატარაძემ და სხვ.

დაადგინეს: გადმოტანილ იქნას ფაკულტეტზე საუნივერსიტეტო სტრუქტურული ერთეული "გენდერის ინსტიტუტი".

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: ფ. დოლბაია, ასოცირებული პროფესორი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი: ე. შამილიშვილი, ასოცირებული პროფესორი

26 მაისი, 2019 წ

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

ფაკულტეტის დეკანი

1. თამარ დოლბაია

სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის მიმართულება

2. იაგო კაჭკაჭიშვილი
3. ამირან ბერძენიშვილი
4. ნინო დურგლიშვილი
5. თამარ მახარაძე

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

6. ზურაბ დავითაშვილი
7. ფიქრია ასანიშვილი
8. თორნიკე თურმანიძე

პოლიტიკური მეცნიერების მიმართულება

9. ალექსანდრე კუხიანიძე
10. მალხაზ მაცაბერიძე
11. სალომე დუნდუა
12. ზვიად აბაშიძე

ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის მიმართულება

13. ნინო ჭალაგანიძე
14. ხათუნა მაისაშვილი
15. მარი წერეთელი
16. მანანა შამილიშვილი
17. ნანა ტალახაძე

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

18. ნინო პავლიაშვილი
19. გიორგი გოგსაძე

20. ვაჟა ლორთქიფანიძე
21. ვალერიან მელიქიძე

ინტერდისციპლინური მიმართულება

22. რევაზ ჯორბენაძე
23. ნოდარ ბელქანია
24. ზურაბ აბაშიძე
25. თეონა მატარაძე

სტუდენტური თვითმმართველობა

26. მარიამ ბერიანიძე
27. ალექსანდრე გაბაშვილი
28. გიორგი გოგოლაძე
29. ნინო გოლიაძე
30. თორნიკე კობახიძე
31. შალვა ლაშხია
32. ანი სარალიძე
33. რატი ხითარიძე
34. ელენე ბებერაშვილი

საერთაშორისო და ადგილობრივ ღონისძიებებში სტუდენტთა მონაწილეობის ფინანსური უზრუნველყოფის წესი

მუხლი 1. მიზანი

საერთაშორისო და ადგილობრივ ღონისძიებებში თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის (შემდგომში-„ფაკულტეტი“) სტუდენტების მონაწილეობის ფინანსური უზრუნველყოფის მიზანია ხელი შეუწყოს სტუდენტთა ჩართვას საერთაშორისო სასწავლო და კვლევითი პროექტების, ასევე პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში.

მუხლი 2. დაფინანსების მოთხოვნის უფლების მქონე პირი

2.1 დაფინანსების მოთხოვნის უფლება აქვს ფაკულტეტის აქტიური სტატუსისა და არანაკლებ 3.0 GPA- ის მქონე ბაკალავრიატის , მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტს.

მუხლი 3. დაფინანსების ობიექტები

3.1. ფაკულტეტის მიერ შეიძლება დაფინანსდეს შემდეგი კატეგორიის აქტივობები:

3.1.1 სასწავლო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა სამივე საფეხურის სტუდენტებისათვის;

3.1.2 კვლევით პროექტებში მონაწილეობა (მხოლოდ დოქტორანტთათვის);

3.1.3 საერთაშორისო საუნივერსიტეტო კონფერენციებში (კონგრესებში, სიმპოზიუმებში) მონაწილეობა (მხოლოდ მომხსენებლებისთვის) სამივე საფეხურის სტუდენტებისათვის;

3.1.4 საერთაშორისო მოდელირებებში მონაწილეობა (მხოლოდ სწავლების პირველი საფეხურის სტუდენტებისათვის);

3.1.5. სეზონური სკოლების მუშაობაში მონაწილეობა, მხოლოდ კრედიტების მინიჭების შემთხვევაში;

3.2. არ ფინანსდება გაცნობითი, კულტურული გაცვლისა და არასაგანმანათლებლო ფორუმები (ყრილობები, შეხვედრები, მრგვალი მაგიდები და ა. შ.), ასევე ქართული ორგანიზაციების მიერ საზღვარგარეთ დაგეგმილი ღონისძიებები.

მუხლი 4. ანაზღაურების ოდენობა, დასაბეგრი საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით, განისაზღვრება შემდეგნაირად:

4.1 ბაკალავრიატის სტუდენტისათვის: არაუმეტეს 1250 ლარისა;

4.2. მაგისტრატურის ა და დოქტორანტურის სტუდენტ თ ათვის: არაუმეტეს 2000 ლარისა;

4. 3 . საქართველოს შიგნით კონფერენციებსა და სეზონურ სკოლებში მონაწილეობა ფინანსდება არაუმეტეს 500 ლარისა;

4.4 სამივლინებოდ ფინანსდება მხოლოდ სარეგისტრაციო , მგზავრობისა და სასტუმროს ხარჯები;

4.5 სასწავლო გაცვლით პროგრამებში დაფინანსება ხორციელდება უნივერსიტეტის საგარეო დეპარტამენტთან შეთახმებით;

4. 6 კონფერენციებში მონაწილეობა ფინანსდება 100%- ით, ან დაფინანსების ლიმიტის მაქსიმუმის ფარგლებში, თუ მოთხოვნილი თანხა ასეთ ლიმიტს აღემატება;

4.7 კონფერენციის მოხსენების ორი ან მეტი თანაავტორის არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია დაფინანსდეს მხოლოდ ერთი მომხსენებელი, ან დაფინანსების თანხა განაწილდეს თანამომხსენებლებს შორის;

4.8 მოდელირებაში მონაწილეობა ფინანსდება 50%- ით, მაგრამ არაუმეტეს დაწესებული ლიმიტისა;

4.9 სწავლის განმავლობაში, ბაკალავრიატისა და დოქტორანტურის სტუდენტის დაფინანსება მოხდება მაქსიმუმ ორჯერ, ხოლო მაგისტრატურის სტუდენტის - მხოლოდ ერთჯერ, საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო რეგულაციების შესაბამისად.

მუხლი 5. სტუდენტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია

5.1. დაფინანსების მისაღებად სტუდენტმა ფაკულტეტის კანცელარიაში უნდა წარმოადგიონოს დეკანის სახელზე დაწერილი განცხადება და მას უნდა დაურთოს:

5.1.1 მოწვევა უცხო ენაზე, უცხოური ორგანიზაციის/უნივერსიტეტის ოფიციალურ ბლანკზე და მოწვევის ქართული თარგამანი, დამოწმებული მთარგმნელის მიერ, ხელმოწერითა და ბეჭდით . ქართულ – უცხოური ორგანიზაციის მიერ გაცემული მოწვევა არ განიხილება . მოწვევაში მითითებული უნდა იყოს , რომ მოხსენება (სათაურის მითითებით) მიღებულია კონფერენციაზე წარსადგენად;

5.1.2 მგზავრობის ინვოისის დედანი ან გადახდის ქვითარი;

5.1.3 აქტიური სტუდენტის ცნობა GPA- ის მითითებით;

5.1.4 პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

5.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის გარდა სტუდენტი უფლებამოსილია წარმოადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია, რომელიც გაამყარებს საზღვარგარეთ გამართულ ღონისძიებაში მისი მონაწილეობისა და დაფინანსების მოთხოვნის საფუძვლიანობას.

მუხლი 6. სამივლინებო კომისია

6.1 სტუდენტის სრული, ან ნაწილობრივი დაფინანსების მიზანშეწონილობის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად, დეკანის ბრძანებით ფაკულტეტზე იქმნება სტუდენტთა სამივლინებო კომისია (შემდგომში - „კომისია“), რომლის შემადგენლობაში შედის ყველა მიმართულებიდან თითო პროფესორი, ასევე ფაკულტეტის საბჭოს და თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი თითო სტუდენტი. კომისიას თავმჯდომარეობს დეკანის მოადგილე;

6.2 კომისია იკრიბება თვეში ერთხელ, თვის პირველ ხუთშაბათს. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი;

6. 3 კომისია გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა;

6. 4 კომისიის სხდომის შედეგები ფორმდება ოქმით;

6. 5 სტუდენტთა განცხადებების განხილვის საფუძველზე, კომისიის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღება, წარმოადგენს ფაკულტეტის დეკანის მიერ თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის შესაბამისი მოთხოვნის გაგზავნის საფუძველს .

სადოქტორო სემინარის შეფასების წესი

სადოქტორო სემინარი არის სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი. დოქტორანტის სასემინარო ნაშრომი არ უნდა იყოს დისერტაციის ნაწილი. ნაშრომის თემატიკას განსაზღვრავს დოქტორანტი, სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით. სემინარი 15 კრედიტიანია და ფასდება 100 ქულიანი სისტემით.

დოქტორანტი სემინარს ირჩევს lms.tsu.ge-ზე, აკადემიური რეგისტრაციის პერიოდში. რეგისტრაციის ვადის დასრულებიდან ერთ თვეში სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელებთან კონსულტაციის საფუძველზე შეადგენს სემინარის დაცვის საფაკულტეტო გრაფიკს (სემესტრის დასკვნითი გამოცდების პერიოდში ერთი კვირის განმავლობაში), რომელსაც ამტკიცებს ფაკულტეტის დეკანი. გრაფიკის საინფორმაციო უზრუნველყოფას ახორციელებს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური.

დოქტორანტმა სააუდიტორიო მეცადინეობების დასრულებიდან 10 დღის ვადაში სასემინარო ნაშრომის ელექტრონული ვერსია უნდა ატვირთოს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მიერ მითითებულ მისამართზე (https://tsu.ge/ge/faculties/social/study_proc/phd_soc/_gqntseptc5xlux_s//?fbclid=IwAR1c5Z704xrx7qvjjlBTVmARFYM13j2kd4NA0taveer_flHCONiMIFk6LtU), ხოლო ბეჭდური ვერსია წარადგინოს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურში.

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური ნაშრომის ორიგინალობის შემოწმების შემდგომ უზრუნველყოფს სამეცნიერო - კვლევითი პროექტის ელექტრონული ვერსიის სამეცნიერო პროექტის შემფასებელი კომისიის წევრებთან გაგზავნას. სამეცნიერო ხელმძღვანელმა ნაშრომის შეფასება პრეზენტაციამდე 5 დღით ადრე უნდა გაუგზავნოს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურს.

დოქტორანტი სასემინარო ნაშრომის დაცვაზე დაიშვება სამეცნიერო ხელმძღვანელის დადებითი შეფასების (30 ქულა) შემთხვევაში. სასემინარო ნაშრომის პრეზენტაციის ხანგრძლივობა – 20 წუთი, დისკუსია – 10 წუთი.

სემინარის შემფასებელი კომისია შედგება არანაკლებ 5 წევრისგან, რომლის შემადგენლობაში შედის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი და ფაკულტეტის სხვა წარმომადგენლები. სემინარის შემაფსებელ კომისიას ამტკიცებს ფაკულტეტის დეკანი. კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ მას ესწრება წევრთა ორი მესამედი. სემინარი დაცულად ჩაითვლება, თუ დოქტორანტი მიიღებს მინიმუმ 51 ქულას და გადალახავს თითოეული კომპონენტის მინიმალურ ზღვარს.

სადოქტორო სემინარის შეფასება ფორმდება უწყისში (იხ. უწყისის დანართი 1), რომელშიც აისახება სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ ნაშრომის და სამინარის შემფასებელი კომისიის

მიერ პრეზენტაციის შეფასება. დოქტორანტის სასემინარო ნაშრომის ბეჭდური და ელექტრონული ვერსიები, შეფასების უწყისი და სამეცნიერო ხელმძღვანელის შეფასება უნდა ინახებოდეს დოქტორანტის პირად საქმეში, ხოლო დისერტაციის დაცვის შემდეგ დაარქივდეს შესაბამისი წესით.

სასემინარო ნაშრომის გაფორმება:

- ფურცლის ზომა – A4;
- ელექტრონულ ვერსია წარმოდგენილი უნდა იყოს pdf-ის ფორმატში;
- შრიფტის რეკომენდებული სახე – Sylfaen, ინგლისური ტექსტისთვის Times New Roman;
- შრიფტის ზომა – 12
- სტრიქონებს შორის მანძილი – 1,5 ინტერვალი;
- ფურცლის არესა და ტექსტს შორის მანძილი –2 სანტიმეტრი;
- ნაშრომის მოცულობა – არანაკლებ 25 გვერდისა დანართის გარეშე;
- ნაშრომი გაფორმებული უნდა იყოს P სტილში
- ნაშრომს უნდა ჰქონდეს სატიტულო გვერდი (სადოქტორო პროგრამის, დოქტორანტისა და მისი სამეცნიერო ხელმძღვნელის სახელის და გვარის, სასემინარო ნაშრომის სახელწოდების მითითებით)

სადოქტორო სემინარის ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები

I. სასემინარო ნაშრომის შეფასება (ფასდება დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ)	მაქსიმუმ 60 ქულა მინიმუმ – 30 ქულა
სასემინარო თემის აქტუალობა	მაქსიმუმ 10 ქულა
წყაროების შესაბამისობა სასემინარო თემასთან	მაქსიმუმ 20 ქულა
სასემინარო თემის შესახებ არსებული ცოდნის კრიტიკული ანალიზი და შეფასება	მაქსიმუმ 20 ქულა
შესაბამისობა სადოქტორო სემინარის გაფორმების წესთან; ცოდნის დასაბუთებულად და გარკვევით გადმოცემა	მაქსიმუმ 10 ქულა
II. პრეზენტაციის შეფასება (ფასდება სემინარის შემფასებელი კომისიის მიერ)	მაქსიმუმ 40 ქულა მინიმუმ 21 ქულა
ა) საპრეზენტაციო მოხსენების რელევანტურობა საკვლევ თემასთან და სტრუქტურულ-შინაარსობრივი გამართულობა	მაქსიმუმ 20 ქულა
ბ) კომუნიკაციისა და მსჯელობის უნარი	მაქსიმუმ 10 ქულა
გ) საპრეზენტაციო მასალის შესრულების დონე	მაქსიმუმ 10 ქულა

სადოქტორო სემინარის შეფასების უწყისი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

_____

სასწავლო წელი და სემესტრი:

_____

კრედიტის ოდენობა: 15 კრედიტი

დოქტორანტის გვარი, სახელი:

_____

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ბრძანების ნომერი და წელი:

_____

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის გვარი და სახელი:

_____

სადოქტორო სემინარის სახელწოდება:

_____

_____

_____

სასემინარო ნაშრომი	მაქსიმალური ქულა 100 მინიმალური ქულა 51	შეფასება	შენიშვნა
სასემინარო ნაშრომის შეფასება სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ	მაქსიმუმ 60 ქულა		
პრეზენტაციის შეფასება სემინარის შემფასებელი კომისიის მიერ	მაქსიმუმ 40 ქულა		
საბოლოო შეფასება:	100 ქულა		

ცოდნის შეფასების სისტემა: სემინარის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალური 51 ქულა

91 -100	ფრიადი, A

81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

სემინარის შემფასებელი კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
კომისიის მდივნის ხელმოწერა: _____
კომისიის წევრთა ხელმოწერა:

_____

_____

_____

შევსების თარიღი: _____

სამეცნიერო - კვლევითი პროექტის შეფასების წესი

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წინაპირობას წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებული 2 სამეცნიერო-კვლევითი პროექტი.

სამეცნიერო-კვლევით პროექტში დოქტორანტის მიერ არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში, ის დაცვაზე არ დაიშვება.

დოქტორანტი სამეცნიერო პროექტს ირჩევს lms.tsu.ge-ზე, აკადემიური რეგისტრაციის პერიოდში. რეგისტრაციის ვადის დასრულებიდან ერთი თვეში სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელებთან კონსულტაციის საფუძველზე შეადგენს სამეცნიერო პროექტების დაცვის საფაკულტეტო გრაფიკს (სემესტრის დასკვნითი გამოცდების პერიოდში ერთი კვირის განმავლობაში), რომელსაც ამტკიცებს ფაკულტეტის დეკანი. გრაფიკის საინფორმაციო უზრუნველყოფას ახორციელებს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური.

დოქტორანტმა სააუდიტორიო მეცადინეობების დასრულებიდან 10 დღის ვადაში სამეცნიერო პროექტის ელექტრონული ვერსია უნდა ატვირთოს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მიერ მითითებულ მისამართზე (https://tsu.ge/ge/faculties/social/study_proc/phd_soc/yylmh84v63gpyuzvd//?fbclid=IwAR2fx8gkcYik6_47eLubApqbKdcep38lk2ggVfj8iciikOQLHEBOCZVqomA), ხოლო ბეჭდური ვერსია სამეცნიერო ხელმძღვანელის რეკომენდაციასთან ერთად უნდა წარადგინოს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურში. სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური ნაშრომის ორიგინალობის შემოწმების შემდგომ უზრუნველყოფს სამეცნიერო - კვლევითი პროექტის ელექტრონული ვერსიის სამეცნიერო პროექტის შემფასებელი კომისიის წევრებთან გაგზავნას.

სამეცნიერო - კვლევით პროექტს აფასებს სამეცნიერო პროექტის შემფასებელი კომისია. კომისია შედგება არანაკლებ 5 წევრისაგან, რომლის შემადგენლობაში შედის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი და ფაკულტეტის სხვა წარმომადგენლები. სამეცნიერო - კვლევითი პროექტის შემაფსებელ კომისიას ამტკიცებს ფაკულტეტის დეკანი. სამეცნიერო - კვლევითი პროექტის შემფასებელი კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ორი მესამედი.

პირველ სამეცნიერო - კვლევით პროექტში დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს სადოქტორო ნაშრომის აქტუალობა, კვლევის სიახლე, პრობლემის ფორმულირება, კვლევის მიზანი და ამოცანები, ჰიპოთეზა ან/და კვლევის კითხვა, კვლევის მეთოდოლოგია/დიზაინი, სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა/დოკუმენტების ანალიზი (წყაროების მითითებისას გამოყენებულ უნდა იყოს APA სტილი).

მეორე სამეცნიერო - კვლევითი პროექტში დოქტორანტმა დეტალურად უნდა წარადგინოს კვლევის შედეგები და ძირითადი მიგნებები (სადისერტაციო ნაშრომის ემპირიული ნაწილი). ასევე უნდა წარმოადგინოს კვლევის მიზანი და ამოცანები, ჰიპოთეზა ან/და კვლევის კითხვა და კვლევის დიზაინის მოკლე აღწერა. კვლევის შედეგები წარმოდგენილი უნდა იყოს სისტემურად და ლოგიკურად.

დოქტორანტი სამეცნიერო - კვლევითი პროექტის პრეზენტაციით (20-30 წუთი) წარსდგება სამეცნიერო - კვლევითი პროექტის შემფასებელი კომისიის წინაშე, რომელსაც დაცვისთვის აუცილებელ ყველა საბუთს გადასცემს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის სპეციალისტი. სამეცნიერო - კვლევითი პროექტის დაცვის პროცესი საჯაროა.

სამეცნიერო - კვლევითი ნაშრომი ფასდება პრინციპით – ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა. ნაშრომი ჩათვლილად ითვლება, თუკი მას დადებით შეფასებას მისცემს კომისიის წევრთა ორ მესამედი.

სამეცნიერო - კვლევითი პროექტის შეფასება ფორმდება უწყისში (იხ. უწყისის დანართი 1). დოქტორანტის სამეცნიერო - კვლევითი პროექტის ბეჭდური და ელექტრონული ვერსიები, ხელმძღვანელის რეკომენდაციები, შეფასების უწყისი, უნდა ინახებოდეს დოქტორანტის პირად საქმეში, ხოლო დისერტაციის დაცვის შემდეგ დაარქივდეს შესაბამისი წესით.

სამეცნიერო - კვლევითი პროექტის გაფორმება:

ელექტრონული ვერსია წარმოდგენილი უნდა იყოს pdf ფორმატში; დოკუმენტის სახელწოდება უნდა იყოს PhD scientific project და ავტორის გვარი მიეთითოს მაგალითისამებრ (მაგ.: PhD scientific project.Abashidze);

- ნაშრომი აკრეფილი უნდა იყოს A4 ზომის სტანდარტულ ფურცელზე;
- შრიფტის რეკომენდებული სახე – Sylfaen, ინგლისურენოვანი ტექსტისთვის Times New Roman
- შრიფტის ზომა – 12
- სტრიქონებს შორის მანძილი – 1,5 ინტერვალი;
- ფურცლის არესა და ტექსტს შორის მანძილი –2 სანტიმეტრი;
- ნაშრომის მოცულობა – არანაკლებ 25 გვერდისა დანართის გარეშე;
- ნაშრომი გაფორმებული უნდა იყოს P სტილში
- ნაშრომს უნდა ჰქონდეს სატიტულო გვერდი (სადოქტორო პროგრამის, დოქტორანტისა და მისი სამეცნიერო ხელმძღვნელის სახელის და გვარის, სამეცნიერო - კვლევითი პროექტის სახელწოდების მითითებით)

სადოქტორო სამეცნიერო–კვლევითი პროექტის შეფასების უწყისი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

_____

სასწავლო წელი და სემესტრი:
_____

დოქტორანტის გვარი, სახელი:

_____

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ბრძანების ნომერი და წელი:
_____

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის გვარი და სახელი:
_____

სამეცნიერო - კვლევითი პროექტის სახელწოდება:
_____
_____
_____

სამეცნიერო - კვლევითი პროექტის შემფასებელი კომისიის დასკვნა:

1. სამეცნიერო - კვლევითი პროექტი ჩაეთვალა
2. სამეცნიერო - კვლევითი პროექტი არ ჩაეთვალა

სამეცნიერო - კვლევითი პროექტის შემფასებელი კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერა:
_____

კომისიის მდივნის ხელმოწერა: _____

კომისიის წევრთა ხელმოწერა:

_____

_____

_____

შევსების თარიღი: _____

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე

გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია

ფაკულტეტზე, ლექტორის მიერ გამოცდები ტარდება მხოლოდ იმ საგნებში, რომელიც მოითხოვს ლექტორისა და სტუდენტის ინტერაქციას და გათვალისწინებულია საგნის სილაბუსით.

ყოველი სასწავლო სემესტრის დასაწყისში სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად, შეადგენს ფაკულტეტზე ჩასატარებელი გამოცდების სიას და დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს.

გამოცდების ფორმას, საკითხების ოდენობასა და შეფასების კრიტერიუმებს, სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით, განსაზღვრავს ლექტორი.

ლექტორი აგრეთვე განსაზღვრავს საგამოცდო საკითხების ქულობრივ წონას.

საგამოცდო საკითხები/ბილეთები/ტესტები წარედგინება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს საგამოცდო პერიოდის დაწყებამდე ხუთი სამუშაო დღით ადრე.

ფაკულტეტი, განსაკუთრებული საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის უზრუნველყოფს განსხვავებული ფორმატით გამოცდების ორგანიზებას.

გამოცდების ორგანიზებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები რეგულირდება უნივერსიტეტის სამართლებლივი აქტებით(რექტორის ბრძანება: №84/01-01 2012.07.12 №182/01-01 2013.12.26.)